

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №06

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ. თბილისი

ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის და კონფიდენციალური ინფორმაციის
ნუსხის დამტკიცების წესის შესახებ

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 2013 წლის 02 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №102-ის თანახმად დამტკიცებული სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის და კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის წესი;

ბ) კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხა (დანართი №1).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი

იოსებ გოგოლაშვილი



ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის და კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს დაზღვევის სფეროში სადაზღვევო საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში (შემდეგში – სამსახური) არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის და გაცემის, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე შეზღუდვების დაწესების საკითხებს.
2. ამ წესის მიზნებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის ქვეშ მოიაზრება წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სადაზღვევო საქმიანობის სტაბილურობას.
3. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე, რომლის რეგულირებაც ხორციელდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
4. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომლის საჯაროდ გაცემის ვალდებულება სამსახურს გააჩნია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.
5. ამ წესის მიზნებისათვის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე ვრცელდება სამსახურში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი მოთხოვნები.

მუხლი 2. დამატებითი ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა და მის გაცემაზე შეზღუდვების დაწესების ვადები

1. სამსახურის უფროსი უფლებამოსილია დამატებით კონფიდენციალურად მიიჩნიოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ ბრძანების დანართი №1-ით, ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:
 - ა) ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევას დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვს სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
 - ბ) ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა დასაბუთებული შუამდგომლობით მოთხოვნილია სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებული იმ სუბიექტის მიერ (შემდეგში – დაინტერესებული პირი), რომელსაც ეხება აღნიშნული ინფორმაცია.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურის უფროსი მიმართვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის შესახებ.
3. კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემაზე შეზღუდვის ვადა, გარდა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, განისაზღვრება 5 წლის ვადით ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის მომენტიდან.

4. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის ვადა განისაზღვრება თავად დაინტერესებული პირის დასაბუთებული მოთხოვნის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნაში აღნიშნული ვადა მითითებული არ არის, მაშინ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის ვადები განისაზღვრება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის წესი

1. იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის აუცილებლობა, სამსახურის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ.

2. ამ წესის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გასაჯაროება შესაძლებელია მხოლოდ იმ დაინტერესებული პირის თანხმობით, რომელსაც ეხება აღნიშნული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ინფორმაციის გასაჯაროება აუცილებელია სამსახურის ფუნქციების განსახორციელებლად ან კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად.

3. ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ ინფორმაცია ავტომატურად ხდება საჯარო, თუ სამსახურის უფროსი სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ან დაინტერესებული პირის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე არ მიიღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის ვადის გაგრძელების შესახებ.

4. კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემა შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. ამ წესის შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურზე მისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე.

6. სამსახურის თანამშრომელი არ არის უფლებამოსილი დაუშვას ნებისმიერი მესამე პირი კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სამსახურის სტრუქტურული ერთეულებისათვის ინფორმაციის მიწოდების მომენტში და იმ შემთხვევებზე, როდესაც ეს აუცილებელია სამსახურის ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებთან ან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციების, კონსულტაციების გამართვის ან სამუშაო გამოცდილების გაზიარების დროს.

7. სამსახურის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების გარეშე ამ წესით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია მიაწოდოს სამსახურის მიერ მოწვეულ აუდიტორს ან/და სამსახურთან

სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირს, თუ ეს ინფორმაცია აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

8. დაინტერესებული პირის/მესამე პირის მიერ ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც სამსახურის მიერ მიჩნეულია კონფიდენციალურად, ავტომატურად არ ნიშნავს ამ ინფორმაციის სამსახურის მიერ გასაჯაროებას. ამ შემთხვევაში, თუ სამსახურის უფროსი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ, სამსახურის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული ინფორმაცია კვლავ ინარჩუნებს კონფიდენციალურ ხასიათს.

9. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება მტკიცდება სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

დანართი №1

კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხა

1. სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტების შემოწმების შესახებ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, შემოწმების აქტები, მასთან დაკავშირებული მოხსენებითი ბარათები და ადგილზე/დისტანციური შემოწმების დროს დამუშავებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
2. მოხსენებითი ბარათები და მასთან დაკავშირებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ, აგრეთვე დაწესებული ფულადი ჯარიმების აღსრულების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები.
3. საზედამხედველო ღონისძიების გატარების შესახებ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტთან დაკავშირებული კორესპონდენცია.
4. ლიკვიდირებული/გაკოტრებული და ლიკვიდაციის/გაკოტრების პროცესში მყოფი სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის გაცემასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდება პირზე, თუ დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას უშუალოდ ამ პირის ფინანსების ან პერსონალური მონაცემების შესახებ.
5. სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის კომპონენტების შესახებ მონაცემები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მოდელების, კონფიგურაციის, ვერსიების, არსებული დატვირთვის, წარმადობის, მხარდაჭერის, გარანტიის შესახებ.